გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ გᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2019 წლის 6 თებერვალი
დასკვნის წარდგენის თარიღი
2019 წლის 25 მარტი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ისტორია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ისტორიის ბაკალავრი, 1004 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეიმურაზ პაპასქირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალხაზ თორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ბექა კვაჭაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან. აქედან 162 კრედიტი ეთმობა პროგრამის ძირითად კურსებს და ის შემდეგნაირად ნაწილდება: 24 კრედიტი – ძირითადი საგნები; 114 კრედიტი – პროგრამის სავალდებულო საგნები; 12 კრედიტი – პროგრამის არჩევითი საგნები; 12 კრედიტი – კონცენტრაციის საგნები. დარჩენილი კრედიტებიდან 18 არის თავისუფალი კრედიტი, ხოლო 60 – დამატებითი სპეციალობის კრედიტი.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. საგნების წინაპირობები კარგად არის გააზრებული და ხელმისაწდომია სტუდენტთათვის ვებგვერდზე. პროგრამა, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ისტორიის ბაკალავრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა 2019 წლის 6 თებერვალს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.

ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის ცალკეული კურსები საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას. კერძოდ:

- შუა საუკუნეების ისტორია – ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მოძველებული ლიტერატურა, კერძოდ, შუა საუკუნეების ისტორია გ. ტივაძის რედაქციით. ის უნდა შეიცვალოს უფრო თანამედროვე და ახალი სახელმძღვანელოთი, მაგალითად, 2015 წელს მ. პაპაშვილის რედაქციით გამოცემული დასავლეთ ევროპის ისტორიით (XVI საუკუნე);
- ახალი ისტორია – ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მოძველებული ლიტერატურა, კერძოდ, შუა საუკუნეების ისტორია გ. ტივაძის რედაქციით. ის უნდა შეიცვალოს უფრო თანამედროვე და ახალი სახელმძღვანელოთი,

მაგალითად, 2015 წელს მ. პაპაშვილის რედაქციით გამოცემული დასავლეთ ევროპის ისტორიით (XVI საუკუნე).

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

უნივერსიტეტში ყველა საგამოცდო ნაწერი, კომენტარებითა და შესწორებებითურთ, ელექტრონულად მიეწოდება ყველა სტუდენტს, რაც უდავოდ ხელს უწყობს უკუკავშირს სტუდენტსა და ლექტორს შორის.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| |
|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ნათლად არის ჩამოყალიბებული და ასახული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამა მიმართულია ისტორიის დარგში მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადებაზე ფართო ცოდნით საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შესახებ, რომლებსაც ექნებათ მაღალი სოციალური ცნობიერება და დემოკრატიული ღირებულებები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ საქართველოს უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020 წწ.) სამოქმედო გეგმა (https://www.ug.edu.ge/public/storage/მისია/სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020 წწ) სამოქმედო გეგმა.pdf; |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა |

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და სრულად აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულს ჰქონდეს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ცალკეული მონაკვეთების ფართო ცოდნა უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე, ასევე ისტორიის დამხმარე დისციპლინების საფუძვლების ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია ცალკეული კურსების სწავლის შედეგების მიხედვით.<br>უსდ ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. ეს ხდება როგორც პირდაპირი წესით (სტუდენტთა ტესტები, ქვიზები, საშინაო დავალებები, ესეები, პრეზენტაციები, პროექტები და სხვ.), ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, ინტერვიუები, მათი GPA, კურსდამთავრებულთა რაოდენობა და საბოლოო შეფასება, დასაქმებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებლები; დამსაქმებელთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვები, და ა.შ.) შეფასების მეთოდებით. მათი ანალიზის საფუძველზე პროგრამაში შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ: პროგრამას დაემატა ახალი კურსები – საქართველოს ისტორია (უძველესიდან XVI საუკუნემდე), საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია, დასავლეთი ანტიკურ ხანაში, შუა საუკუნეების ისტორია, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. აღნიშნული კურსების დამატება ნამდვილად ხელს უწყობს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ზოგადი ცოდნის გაუმჯობესებას, რაც აისახება კიდეც პროგრამის სწავლის შედეგებში. შეიცვალა არჩევითი საგნების ჩამონათვალი და არჩევითი საგნების სახით პროგრამას დაემატა კულტურული მემკვიდრეობის საკანონმდებლო ბაზა და ძველი ქართული ენა. გარდა ამისა, სავალდებულო საგნების ჩამონათვალში შეტანილ იქნა საგნები: ისტორიის კვლევის მეთოდები და საინფორმაციო ტექნოლოგიები ისტორიაში. გარდა ამისა, პროგრამიდან ამოღებულ იქნა რამდენიმე არჩევითი საგანი და შეიცვალა კრედიტების რაოდენობა ზოგიერთ საგანზე. მთლიანობაში გატარებული ცვლილებები დადებითად შეიძლება შეფასდეს და ის ნამდვილად ხელს უწყობს პროგრამის გაუმჯობესებას. |

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ისტორიის საბაკალავრო პროგრამა;<br>○ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;<br>○ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის | √ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და საქართველოს უნივერსიტეტის პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ისტორიის პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=254. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ისტორიის პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და სწავლის შედეგები.

ისტორიის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან 162 კრედიტი ეთმობა პროგრამის ძირითად კურსებს და ის შემდეგნაირად ნაწილდება: 24 კრედიტი – ძირითადი საგნები; 114 კრედიტი – პროგრამის სავალდებულო საგნები; 12 კრედიტი – პროგრამის არჩევითი საგნები; 12 კრედიტი – კონცენტრაციის საგნები. დარჩენილი კრედიტებიდან 18 არის თავისუფალი კრედიტი, ხოლო 60 – დამატებითი სპეციალობის კრედიტი.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. საგნების წინაპირობები კარგად არის გააზრებული და ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის ვებგვერდზე. პროგრამა, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ისტორიის ბაკალავრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- წინაპირობების მატრიცა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=254;

| |
|---|
| ○ საგნების სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ყველა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები სრულ თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები ერთობლიობით ქმნის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საკუთრივ ამ კურსის სწავლის შედეგებს. რაც შეეხება სილაბუსებში მითითებულ |

სასწავლო მასალას, ძირითადში ისინი დაფუძნებულია დარგში არსებულ აქტუალურ მიღწევებზე. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ორი სილაბუსი: შუა საუკუნეების ისტორიის (მასში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია შუა საუკუნეების ისტორია გ. ტივაძის რედაქციით) და ახალი ისტორიის (მასში ასევე მითითებულია 1970 წელს გამოცემული შუა საუკუნეების ისტორია გ. ტივაძის რედაქციით ძირითად ლიტერატურაში). აღნიშნული წიგნის შეცვლა სავსებით შესაძლებელია უფრო ახალი და ბევრად უფრო თანამედროვე ლიტერატურით, კერძოდ, დასავლეთ ევროპის ისტორიით (XVI საუკუნე), რომელიც 2015 წელს გამოიცა მურმან პაპაშვილის რედაქციით. როგორც გაირკვა, საგნის პროფესორი უბრალოდ არ იყო ინფორმირებული ამ სახელმძღვანელოს არსებობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის პროგრამა;
- საგნების სილაბუსები;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

ცალკეული კურსები, რომლებიც საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას:

- შუა საუკუნეების ისტორია – ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მოძველებული ლიტერატურა, კერძოდ, შუა საუკუნეების ისტორია გ. ტივაძის რედაქციით. ის უნდა შეიცვალოს უფრო თანამედროვე და ახალი სახელმძღვანელოთი, მაგალითად, 2015 წელს მ. პაპაშვილის რედაქციით გამოცემული დასავლეთ ევროპის ისტორიით (XVI საუკუნე);
- ახალი ისტორია – ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მოძველებული ლიტერატურა, კერძოდ, შუა საუკუნეების ისტორია გ. ტივაძის რედაქციით. ის უნდა შეიცვალოს უფრო თანამედროვე და ახალი სახელმძღვანელოთი, მაგალითად, 2015 წელს მ. პაპაშვილის რედაქციით გამოცემული დასავლეთ ევროპის ისტორიით (XVI საუკუნე).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო საგანია პრაქტიკა ისტორიაში, რომლის ფარგლებში სტუდენტები გადიან პრაქტიკას საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ორივე ამ დაწესებულებასთან საქართველოს უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი. პრაქტიკას ხელმძღვანელობს საგნის კურატორი და შესაბამისი დაწესებულების ერთ-ერთი თანამშრომელი. გარდა ამისა, ისტორიის პროგრამის წარჩინებულ სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროექტებსა და სასწავლო ტურებში. პროგრამის სავალდებულო თუ არჩევითი კურსების დიდი ნაწილი მოიცავს რეფერატს, რომელიც ემსახურება კვლევითი უნარების განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამა იყენებს შემდეგ მეთოდებს: ინტერაქტიული ლექცია, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, კრიტიკული ანალიზი, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, გუნდური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სხვ. აღნიშნული მეთოდები სტუდენტებზე ორიენტირებულია და ისინი სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის პროგრამა;
- საგნების სილაბუსები;
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| ## 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის ადგილზე შემოწმება, მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობის გაცნობა და შეფასება. ყველაზე ნათელი სურათი კი შექმნა დაწესებულების სტუდენტებთან პირადმა გასაუბრებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.<br>უსდ-ში ბაკალავრიატის საფეხურის ყველა სტუდენტის შეფასება ხდება დაწესებულების მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებადი წესის შესაბამისად და თანხვედრაშია კანონმდებლობასთან. პროცესი არის გამჭირვალე და სტუდენტს აქვს სრული წინასწარი ინფორმაცია შეფასების კრიტერიუმებისა და დაკისრებული მოთხოვნების შესახებ.<br>პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა მწყობრად სისტემატიზებულია და პასუხობს ბაკალავრიატის საფეხურის, უმაღლესი სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თითოეული კურსის მაქსიმალური შეფასებას წარმოადგენს 100 ქულა, მინიმალურ დადებით შეფასებას კი - 51 ქულა. სასწავლო კურსების შეფასების სისტემა გამომდინარეობს მათი სპეციფიკიდან, შუალედური და დასკვნითი შეფასებები ხორციელდება მრავალი კომპონენტის გამოყენებით: ღია კითხვები, განმარტებები (ცნებები და ტერმინები), ტექსტის ანალიზი, თემა, რეფერატის მომზადება/პრეზენტაცია. კომპონენტები მიმართულია სტუდენტთა როგორც ფაქტოლოგიური მასალის ცოდნისა გამოვლენასა და ემპირიაზე დამყარებულ სწავლებაზე, ასევე ვერბალური და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე. თითოეული კომპონენტი შესაბამისობაშია სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და ზოგადად პროგრამის |

მისაღწევ მიზნებთან.

სტუდენტი წინასწარაა ინფორმირებული შეფასების კრიტერიუმებისა და თითოეული გამოცდის სპეციფიკისა და მოთხოვნების შესახებ. საგამოცდო ნაწერების გასწორება ანონიმურია, რაც გამორიცხავს რაიმე სახის უარყოფით გავლენას გამსწორებლის პირადი დამოკიდებულების მომიზეზებით. გასწორებული ნაწერი შეფასებითურთ სტუდენტს ეგზავნება, სადაც სტუდენტი ინფორმირებული ხდება გამსწორებლის კომენტარებით, თუ რატომ მიიღო კონკრეტული შეფასება. სტუდენტის მიერ, შეფასების უსამართლოდ მიჩნევის შემთხვევაში, საგამოცდო ნაწერი, კომისიის, ერთი და მეტი გამსწორებლის ხელში ხვდება. დაწესებულებასი არ არსებობს სტუდენტსა და ლექტორს შორის კომუნიკაციის პრობლემა, სტუდენტი იღებს უკუკავშირს, აფასებს სუსტ მხარეებს და იღებს რეკომენდაციას, გამოსწორების მიმართულებით. სტუდენტთა შეფასება ეყრდნობა ობიექტურობის, გამჭირვალობის, სანდოობისა და ვალიდურობის პრინციპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების კვლევის ანგარიში;
- ელექტრონული პორტალი;
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საგამოცდო ნაწერის, კომენტარებითა და შესწორებებითურთ, ელექტრონული მიწოდება ყველა სტუდენტისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ანალიზის, ასევე ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან პირადი კონსულტაციის დროს, გამოიკვეთა ძირითადი სურათი ამ მიმართულებით.<br>დაწესებულების ბაზაზე, მოქმედებს შიდა კომპლექსური დანიშნულების ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს, ინდივიდუალური პროფილის გამოყენებით, შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ, დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. სტუდენტებთან გასაუბრებისას ერთხმად აღნიშნა, ვებგვერდის გამართულობის მაღალი ხარისხი და კომუნიკაციებისა და კონსულტაციების მაღალი პრაქტიკა. ასევე მათ მიერ დაყენებულ საჭიროებებზე, პერსონალის მხრიდან რეაგირების დროულობა და მაღალი ხარისხი.<br>დაწესებულებაში მოქმედი სისტემის სტუდენტზე ორიენტირებულობის ხარისხი მაღალია. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს სტუდენტებთან კონსულტაციებს, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ასევე სტუდენტს ნებისმიერ დროს, ელექტრონული ბაზის მეშვეობით, შეუძლია მიმართოს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული საკითხების შესახებ, შესაბამის დეპარტამენტს. ელექტრონული ბაზის მეშვეობით სტუდენტს უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება ინფორმაცია, სასწავლო პროცესში განხორციელებული სიახლეებისა და ცვლილებების, ასევე გარე ტრენინგების, სტაჟირებების, სასწავლო აქტივობებისა და ვაკანსიების შესახებ. ამავე ბაზაში, სტუდენტები კითხვარების სასუალებით აფასებენ გავლილი სასწავლო კურსის სირთულეს, საწიროებას და ლექტორის ცოდნისა და უნარების შესაბამისობას.<br>აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ დაწესებულების ეგიდით გამართულ სასწავლო-შემეცნებით ღონისძიებებზე, ასევე საერთასორისო პროექტებშიც. განხორციელებული პრაქტიკა არსებობს, სტუდენტების ვიზიტის პოლონეთსა და ისრაელში, პროგრამაში არსებული სასწავლო კურსის ფარგლებში. |

| |
|---|
| სტუდენტი იღებს უკურეაქციას, თავისი ინტერესის შესაბამისი საჭიროებების მოთხოვნისა, ან ინიციატივის დაყენების შემთხვევაში. სტუდენტთა ინიციატივის გათვალისწინებისა და მათ მიერ მოთხოვნილი სასწავლო დისციპლინების დამატების პრაქტიკის არსებობის შესახებ, ინფორმაცია მივიღეთ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას. სტუდენტებს წინასწარ ოპერატიულად მიეწოდებათ სასწავლი მასალა და მინიჭებული დავალება, სეუფერხებელი წვდომა აქვთ სასწავლო კურსის სილაბუსებსა და მასში მითითებულ ლიტერატურაზე.<br>პროგრამის სრულფასოვნად გავლის შემთხვევაში, სტუდენტის კვალიფიკაცია სრულად დააკმაყოფილებს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის სტანდარტებს და მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი;<br>○ დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში;<br>○ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;<br>○ შესაბამისი სამსახურების სამუშაოს აღწერები;<br>○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან<br>○ |
